



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080139514509719

№ 865

13 / თებერვალი /
2019 წ.

**სს „სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის
ვადის გაგრძელების შესახებ**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 28 იანვარს წარმოდგენილ იქნა სს „სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთის“ (ს/ნ: 230028145) 2019 წლის 28 იანვრის №16 მომართვა (რეგისტრაციის №889), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2019 წლის 8 თებერვალს სს „სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთმა“ წარმოადგინა 2019 წლის 7 თებერვლის №24 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №1431), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 4 თებერვლის №452 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ სს „სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთის“ (ს/ნ: 230028145) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2019 წლის 6 მარტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. სს „სამშენებლო საწარმო გაერთიანება იმერეთის“ (ს/ნ: 230028145) 2019 წლის 7 მარტიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე